

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
რუსისტიკის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

თინათინ წერეთელი

**რუსული მებრძოლი დისკურსი
(გ.გ. მაიაკოვსკის შემოქმედების მაგალითზე)**

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ი ს

მ ა ც ნ ე

თბილისი

2011

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსისტიკის ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **დავით გოცირიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. **ნატალია ბასილაია**
ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2. **მარინა არაშიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2011 წლის 29.06.12⁰⁰ საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის 13, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII კორპუსი, აუდიტორია 232

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი  ა. ყულიჯანიშვილი

წინასიტყვაობა

თავისი განვითარების პროცესში ლინგვისტიკა მუდმივად მოიცავს სულ ახალ და ახალ მოსაზღვრე სფეროებს და რთავს მათ თავის ინტერესთა სფეროში, რითაც იგი მიმზიდველი ხდება არა მარტო ენათმეცნიერთათვის, არამედ ფსიქოლოგების, პოლიტოლოგების, რიტორების, სოციოლოგებისა და ა.შ. თანდათან უფრო საინტერესო ხდება ტექსტის ლინგვისტიკა და დისკურს-ანალიზი. დისკურსი ტექსტს განიხილავს ექსტრალინგვისტური პრაგმატული, სოციოკულტურული ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების ერთობლიობაში, მეტყველებას – კი როგორც მიზანმიმართულ სოციალურ ქმედებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობაში და მათი ცნობიერების მექანიზმებში (კოგნიტიურ პროცესებში) მონაწილე კომპონენტს.

ნაშრომის აქტუალურობას განსაზღვრავს ზემოქმედებითი ტექსტების ეფექტურობა, რომელიც დღეისათვის იძენს დიდ მნიშვნელობას, ხოლო მხატვრული ტექსტების დისკურსიული შესაძლებლობების ტიპოლოგია ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამასთან დაკავშირებით, ვ.მაიაკოვსკის პოეზია კი, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ როგორც წმინდა პოეზიისა და აგიტაციური პოეზიისა მომენტები, ასევე პოეზიის კომბინირებული ჟანრებიც, წარმოადგენს თავისებურ საცდელ მოედანს, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ დაკვირვებათა ვერიფიცირება ზემოქმედებითი ტექსტების ფუნქციონირების შესწავლის პროცესზე.

ზემოქმედების ეფექტურობას დიდად განსაზღვრავს ერთიანი კოდის არსებობა. ამ როლისთვის გამოიყენება ხალხური ზეპირმეტყველების წყაროები, ენის მიკრო ელემენტებისაგან შექმნილი „გაუშალაშინებელი თანამედროვე ქუჩური გამოთქმები“, მაიაკოვსკის ხატოვანი სისტემის სიახლე მდგომარეობს სიტყვის მოქნილობაში და დამკერველ ძალაში, ასიციაციების უფართოეს დიაპაზონში, ქალაქურ ატრიბუტიკასთან სიახლოვეში, ფანტასტიკისა და სინამდვილის, მატერიალურისა და აბსტრაქციის შეერთებაში, ლექსის რიტმული სტრუქტურის გაფართოებაში, ლირიკული გამონათქვამის სრულ თავისუფლებაში, წმინდა აბსტრაქციიდან მატერიალურის ილუზიის შექმნის უნარში. („Улица муку молча